საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საministro

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7801/01
14/08/2020

7801-01-2-202008141351

შპს ,,კოლხეთი ცემენტს“
მის: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ №1

ასლი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას

როგორც თქვენთვის ცნობილია, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სამინისტროში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება თქვენ მიერ 2020 წლის 10 ივლისის N10647 განცხადებით წარმოდგენილ “ქ. ზუგდიდში ცემენტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის” პროექტის სკოპინგის ანგარიშზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, 2020 წლის 3 აგვისტოს სამინისტროში წარმოდგენილ იქნა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ (სამინისტროს რეგისტრაციით - N12121, 04.08.2020), ხოლო 2020 წლის 4 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის (წერილი N12170) შენიშვნები. წარმოდგენილ კორესპონდენციას თან ახლავს შესაბამისი ფოტომასალა და ინფორმაცია სადაც მითითებულია, რომ საწარმოს მშენებლობა ფაქტიურად დასრულების სტადიაზეა რაც განსხვავდება სკოპინგის ანგარიშში აღწერილი, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სიტუაციისგან (იხ დანართი).

გაცნობებთ რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შემლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

ვინაიდან დაინტერესებული საზოგადოების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებით და ფოტოსურათებით იკვეთებოდა საწარმოს მოწყობა, საკითხი შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში. დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების პარალელურად, შპს ,,კოლხეთი ცემენტის” მიერ მიმდინარეობდა სამშენებლო და დანადგარების სამონტაჟო სამუშაოები. კერძოდ ანგარის ტექნოლოგიური ხაზების მოსაწყობად, დამონტაჟებულია ნედლეულის სილოსები,

ნაწილობრივ დამონტაჟებულია მილისებრი წისქვილი, სადაც განხორციელდება კლინკერის, თაბაშირის, პემზისა და სხვა დანამატების ნარევის დაფქვა, ასევე მოწყობილია აირმტვერგამწმენდი მოწყობილობა. გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში დაწყებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან თქვენ მიერ სამინისტროში წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშში საქმიანობა განხილულია როგორც დაგეგმილი, ხოლო ტერიტორიაზე არსებული რეალობა განსხვავდება ანგარიშში მითითებული ინფორმაციისგან, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში.

დანართი: ტექსტის თანახმად.

პატივისცემით,

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე